დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნa

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერია

შეფასების თარიღ(ებ)ი : 29.06.2022-30.062022

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი 07.07.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	206078965

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ისანი-სამგორი; ვარკეთილის მე-4 მ/რ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მე-2 რიგი; 163 ბ/ბ
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი; 17 შინდისელის ქუჩა N20
საფოსტო ინდექსი	0163
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.skolaiveria.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	Skola.iveria@yahoo.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0(32)2792677
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნინო გერგიძე-რიჟამაძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599463509 592555575
ელ-ფოსტა	Skola.iveria@yahoo.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 16.06.2022 ბრძანება (MES 0658531) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიაში ვიზიტის შესახებ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29/06/2022- 30/06/2022
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მაკა ჭიაბერაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☐	☒
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☐	☒
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	2.6.1	მოეწყოს სახანძრო კიბე/სათადარიგო გასასვლელი. **სკოლამ 26.07.2022 N 01/103 წერილით მიმართა შსს საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურს შენობის შესწავლისა და საჭირო რეკომენდაციების გაცემის თაობაზე. სამინისტრომ დაადასტურა წერილის მიღება (წერილის რეგისტრაციის N 2055194 26.07.2022) დანართი1.**
	2.6.5	დამონტაჟდეს დამატებითი კამერები საჭირო რაოდენობით. **დამატებითი ვიდეოკამერების დამონტაჟების მიზნით სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს ვიპ სექიურითი ჯორჯიასთან (ს/კ 41276345) დაამონტაჟა კამერები (ხელშეკრულება N3 08.07.2022) დანართი 2. თუმცა სკოლას არ წატმოდგენია შესყიდვის დოკუმენტაცია ან/და კამერების მონტაჟის ფოტომასალა.**
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	----------
ქვესტანდარტი	*3.1.*	----------

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	IV – VI კლასებში შემცირებულია მუსიკის საათები და ნაცვლად 2 საათისა ისწავლება 1 საათი, ხოლო I-IV კლასებში 2საათი ეთმობა სპორტს, 1 საათი - ჭადრაკს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულ საგნებში ცვლილება არ განახორციელოს, ან შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. **სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია მუსიკის საათებთან დაკავშირებით.2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმაში საათობრივ ბადეში განსახორციელებელი ცვლილებები წინასწარ იქნება შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.**
	1.4.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში ისარგებლოს ესგ - ს 36-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო წლის დაწყებამდე. **სკოლა ითვალისწინებს აღნიშნულ რეკოენდაციას და სასკოლო გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში დაცული იქნება 36-ე მუხლი.**
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.ბ.*	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოხდეს განცალკევება ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის, რისი შესაძლებლობაც არის. **სკოლაში დაიგეგმა სარემონტო სამუშაოები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		აღნიშნული რეკომენდაციის უზრუნველსაყოფად, რომელიც დასრულდება სასწავლო პროცესის განახლებამდე.
	2.2	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ყველა საპირფარეშოში, ყველა კაბინა იზოლირდეს მსუბუქი კონსტრუქციის კარებით. **სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და უახლოეს მომავალში დამონტაჟდება აღნიშნული კარებები.**
	2.2	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შენობაში მოეწყოს გათბობის სიტემა. **სკოლაში გათბობის სისტემა დამონტაჟდება 2022 წლის 01 ნოემბრამდე.**
	2.6	სკოლას მიეცა რეკომენდაცია კამერების ხედვის კონტროლი განხორციელდეს დაცვის თანამშრომლის მიერ განცალკევებით ისე, რომ დაცული იყოს პერსონალური ინფორმაცია. **სკოლამ უკვე განაცალკევა კამერების ხედვის კუთხე იმგვარად, რომ დაცულია პერსონალური ინფორმაცია და კონტროლდება მხოლოდ დაცვის თანამშრომლის მიერ.**
	2.6.ა	სკოლამ მიმართოს შს სამინისტროს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს განცხადებით შენობის საფუძვლიანი შესწავლისა და საჭირო რეკომენდაციების მისაღებად. **სკოლამ 26.07.2022 N 01/103 წერილით მიმართა შსს საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურს შენობის შესწავლისა და საჭირო რეკომენდაციების გაცემის თაობაზე. სამინისტრომ დაადასტურა წერილის მიღება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		(წერილის რეგისტრაციის N 2055194 26.07.2022) დანართი1
	2.6.	
	2.7	
	2.7	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.3*	
	3.5	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	კერძო მრავალპროფილიანი საშულო სკოლა „ივერია“ ორიენტირებულია მოსწავლე-ახალგაზრდების ინტელექტუალურ, ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე. სკოლის მიზანია, აღზარდოს და განავითაროს მოზარდში სიკეთის, გულისხმიერების, თავაზიანობის გრძნობები. გამოუმუშაოს ბუნების მოვლის მოთხოვნილება, სამშობლოს სიყვარულის განცდა. ხელი შეუწყოს მოსწავლთა ინდივიდუალური შესაძლებლობათა მაქსიმალურ განვითარებას, მასში იმ ძალების განმტკიცებას, რომელიც გამოიწვევს სწავლისადმი დიდ ინტერესს. განუვითაროს წერითი და ზეპირი მეტყვლების, ლოგიკური აზროვნების, მსჯელობის უნარი. გამოუმუშაოს სიბეჯითე და საბოლოო ჯამში, ერის სამსახურში ჩააყენოს თავისუფლად მოაზროვნე, ერთგული, განსწავლული და მაღალზნეობრივი მომავალი თაობა. სკოლა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. სკოლა აგრეთვე ცდილობს, ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება, მოზარდი საშუალო განათლების მიღების შემდეგ მზად უნდა იყოს, არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 270	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ,,ივერიის“ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და 2011 წლის 11 მარტის 36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სსგ შემუშავებულია საგნობრივი კათედრების აქტიური მონაწილეობით, განხილულია პედაგოგიურ კრებაზე და 2021 წლის 7 სექტემბერს დამტკიცებულია დირექტორის მიერ. **სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია:** • სკოლის მისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საათობრივი ბადე; • საათობრივი ბადე დისტანციური სწავლების დროს; გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალის • ჩამონათვალი; • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა. • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა. • ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები; • განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა; • დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა; • პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა. **სასწავლო პროცესის ორგანიზება** - თითოეულ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 20 მოსწავლით (ამ ეტაპზე კლასებში მოსწავლეთა კონტიგენტი დაბალია). სკოლა ერთცვლიანია. პირველ კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობა 35 წუთია, II კლასში - 40 წუთი, III-XII კლასებში - 45 წუთი. **დისტანციური სწავლების** დროს I-IV კლასებში გაკვეთილების ხანგრძლივობა 20 წუთია, V-IX კლასებში - 30 წუთი, X-XII კლასებში - 40 წუთი. მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ პანდემიის პერიოდში დისტანციური სწავლება ორგანიზებულად მიმდინარეობდა და სკოლამ წარმატებით გაართვა თავი ამ გამოწვევას. სასკოლო **საათობრივი ბადით** კლასებისა და სემესტრების მიხედვით განსაზღვრულია საგნების კვირეული დატვირთვა. სკოლაში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო საგანი. პრიორიტეტულია უცხოური ენების სწავლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინგლისური ენა ისწავლება I-XII კლასებში (გაზრდილი საათებით); • რუსული ენა ისწავლება II-XIIკლასებში (მოსწავლეთა და მშობელთა სურვილის გათვალისწინებით); • გერმანული ენა (სურვილის შემთხვევაში) VII-XIIკლასებში. დაწყებით საფეხურზე მცირე ცვლილებებია მუსიკისა და სპორტის საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით. კერძოდ, IV – VI კლასებში შემცირებულია მუსიკის საათები და ნაცვლად 2 საათისა ისწავლება 1 საათი, ხოლო I- IV კლასებში 2საათი ეთმობა სპორტს, 1 საათი - ჭადრაკს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულ საგნებში ცვლილება არ განახორციელოს, ან შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. **სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია მუსიკის საათებთან დაკავშირებით.2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმაში საათობრივ ბადეში განსახორციელებელი ცვლილებები წინასწარ იქნება შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.** მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით, არჩევითი საგნებიდან X - XII კლასში ისწავლება მხოლოდ მეწარმეობის საფუძვლები. სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას ემსახურება მოსწავლეთათვის შეთავაზებული საინტერესო აქტივობები და დამატებითი მომსახურებებიც (სტუდიები, კლუბები და წრეები). **სპორტის სახეობებიდან (მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით) დამატებით ისწავლება**: • ჭადრაკი (I-IVკლასები); • აერობიკა(I-XII კლასები); • აღმოსავლური ორთაბრძოლები (I-XII კლასები). **სკოლის დაფინანსებით** შექმნილია ხატწერის, ლიტერატურის, ხალხური სიმღერისა და თანამედროვე ცეკვების წრეები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინტელექტუალური კლუბი, საესტრადო და თეატრალური სტუდიები. სკოლის სსგ-ში წარმოდგენილია სკოლის ინკლუზიური პროგრამა და სსსმ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სასწავლო წლის განმავლობაში IX და XII კლასის მოსწავლეებისათვის **პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის** ხელშეწყობას ემსახურება შეხვედრები განსხვავებული პროფესიის ადამიანებთან, მიზნობრივი ექსკურსიები და გაკვეთილები. შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ,,ივერიის“ სასკოლო სასწავლო გეგმა არის ერთიანი დოკუმენტი და ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სასკოლო-სასწავლო გეგმა; 2. სკოლის დებულება; 3. მასწავლებლის პორტფოლიოები; 4. დამრიგებლის პორტფოლიოები; 5. პედსაბჭოს ოქმები; ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სსგ პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოთხოვნებს, ყველა კლასის დამრიგებელს აქვს სადამრიგებლო პორტფოლიო საგნის მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა საკონტაქტო მონაცემებით, კლასთან ჩასატარებული ღონისძიებების/პროექტების ჩამონათვალით, სემესტრული ანგარიშებით. შექმნილია 4 საგნობრივი კათედრა. კერძოდ: 1. ჰუმანიტარული კათედრა; 2. უცხო ენების კათედრა; 3. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; 4. დაწყებითი კლასების და ესთეტიკის კათედრა. აღნიშნულ კათედრებში გაერთიანებულია საგნობრივ ჯგუფის ყველა მასწავლებელი. ყველა კათედრას აქვს პორტფოლიო, სამუშაო გეგმა და განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი. მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით ტარდება შეხვედრები, საჩვენებელი გაკვეთილები, საუბრები, პრეზენტაციები. სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით წახალისებულია სკოლის თვითმმართველობის ინიციატივები. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არაფორმალური განათლების მიღებას. მშობლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროექტებში. მოსწავლეებში ესგ-ით გათვალისწინებული ცოდნისა და შესაბამისი უნარების განვითარების მიზნით დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. მასწავლებელთა პორტფოლიოებში მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშებია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; 2. კლასის დამრიგებლის პორტფოლიოები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3. სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი შემადგენელი ნაწილები; 4. მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშები; 5. საგნობრივი კათედრების სხდომათა ოქმები; 6. პედსაბჭოს სხდომის ოქმები; ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სსგ მოსწავლეებს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმილია სასკოლო აქტივობები, შექმნილია შემეცნებითი, სახელოვნებო, სპორტული და ინტელექტუალური კლუბები. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფსიქოლოგთან. აღნიშნული მომსახურება მოიცავს სხვადასხვა აქტივობას და მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას, მათი მოტივაციის ამაღლებასა და სკოლაში ჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნაზე ზრუნვას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს 2021-2022 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სკოლა მოსწავლეებს ინდივიდუალური გათვალისწინებით სთავაზობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა; 2. სკოლის დებულება; 3. ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან; 4. ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	5. ხელშეკრულება ფსიქოლოგთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები - მოსწავლის შეფასების მიზნები, ამოცანები, შეფასების რუბრიკები, კლასისა და საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი (5.5 ქულა), საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და სხვა. კლასების მიხედვით, თითოეული საგნისთვის განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა, შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადები და ჩატარების წესი. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არ არის განსაზღვრული სემესტრული, ექსტერნი და წლიური გამოცდის ჩატარების წესი. შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ,,ივერიის“ დებულებაში (მუხლი18.8) ვკითხულობთ, რომ ,,შიდასასკოლო გადასაყვანი და მისაღები გამოცდების ფორმას, შინაარსს, საგამოცდო დისციპლინებსა და გამოცდების ჩატარების ვადებს განსაზღვრავს პედაგოგიური საბჭო. <u>არ არის განსაზღვრული რომელ პედაგოგიურ საბჭოზე ხდება აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მოსწავლეთათვის გაცნობა.</u> აღნიშნულ დებულებაში(მუხლი18.11) ვხვდებით ასეთ ჩანაწერსაც: ,,საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის VII,VIII,IX კლასებში წესდება გადასაყვანი გამოცდები მოსწავლეთათვის, 2 საგამოცდო საგნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თავისუფლად არჩევის უფლების მინიჭებით.“ სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში ისარგებლოს ესგ - ს 36-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო წლის დაწყებამდე. **სკოლა ითვალისწინებს აღნიშნულ რეკოენდაციას და სასკოლო გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში დაცული იქნება 36-ე მუხლი.** მოსწავლეთა ყოველდღიური გაცდენების ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სასკოლო სასწავლო გეგმა; 2. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა; 3. კათედრის სხდომის ოქმები; 4. ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან; შეფასების რუბრიკები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ,,ივერიას“ სასკოლო სასწავლო გეგმით, დებულებით და შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს დამრიგებლის უფლებები და ვალდებულებები, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის /კანონიერი წარმომადგენლებისთვის სასწავლო წლის დაწყებისას გასაცნობი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. მოსწავლის ქცევისა და აკადემიური მოსწრებისა შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით გამოიყენება სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო ზარი ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეტყობინება, დაწესებულების განცხადებების დაფა და სხვა. მშობელთა კრებები ტარდება როგორც დისტანციურად, ისე სასკოლო სივრცეში (რეგულაციების დაცვით). მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს ყოველი კვირის პარასკევს, საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, მასწავლებლისგან მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ. მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სასკოლო სასწავლო გეგმა; 2. შინაგანაწესი; 3. დამრიგებლის პორტფოლიო; 4. ელექტრონული ჟურნალი; 5. ინტერვიუები დამრიგებლებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ხელმძღვანელობასთან; 6. სკოლის ვებ-გვერდი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ,,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების, განხორციელებისა და გაუმჯობესების მექანიზმები'', რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის შეფასება. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი დაკომპლექტებულია სკოლის თანამშრომლებისგან და აწესრიგებს ამავე სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მოქმედების წესსა და პროცედურებს. შუალედური მონიტორინგისა და დაკვირვების, სემესტრული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წლიური ანალიზების საფუძველზე იკვეთება დადებითი და უარყოფითი ტენდენციები და იქმნება სკოლის SWOT ანალიზი. სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები, ჩატარებული გაკვეთილების გეგმები რეფლექსიებით, საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები, დირექტორის მოადგილისა და კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	• IV – VI კლასებში შემცირებულია მუსიკის საათები და ნაცვლად 2 საათისა ისწავლება 1 საათი, ხოლო I- IV კლასებში 2საათი ეთმობა სპორტს, 1 საათი - ჭადრაკს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულ საგნებში ცვლილება არ განახორციელოს, ან შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. **<u>სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია მუსიკის საათებთან დაკავშირებით.2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმაში საათობრივ ბადეში განსახორციელებელი ცვლილებები წინასწარ იქნება შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.</u>** • სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში ისარგებლოს ესგ - ს 36-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო წლის დაწყებამდე. **<u>სკოლა ითვალისწინებს აღნიშნულ რეკოენდაციას და სასკოლო გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში დაცული იქნება 36-ე მუხლი.</u>**
რჩევები:	სასურველია სკოლის მისია იყოს ლაკონური და გაზომვადი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ჭიაბერაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 473 კვ.მ	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: 966.75 კვ.მ	
